2:0

გუშინ, 12 ივლისს, მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე შედგა მიმდინარე ჩემპიონატის ერთ–ერთი ცენტრალური შეხვედრა. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები.

თამაშის პირველ ნახევარში თბილისელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა. სამაგიეროდ, მოსკოველმა ბესკოვმა შეძლო უძლიერესი დარტყმით ბურთი თბილისელთა კარის ბადეში მოეთავსებინა. მარღანიას თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა.

მეორე ნახევარში თამაში შეცვლილი უპირატესობით მიმდინარეობდა. თბილისელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა ისევ ბესკოვმა 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

მატჩი მოიგეს მასპინძლებმა (2:0).

“ლელო”, 13 ივლისი 1951 წ.